

საქართველოს ისტორია და კულტურა  
I კურსი. I, II სემესტრი. 2018-2019 წელი  
(დასკვნითი გამოცდის ნიმუში)

კითხვა 1

რას ნიშნავს სიტყვა „ყიზილბაში“?

აირჩიეთ ერთი:

- a. წითელთავიანს
- b. კოჭლს
- c. ყრუს
- d. შავთავიანს

კითხვა 2

რომელი სამი დიდი სახელმწიფოს ვასალი იყო კახეთის სამეფო XVI საუკუნის ბოლოს?

აირჩიეთ ერთი:

- a. ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის
- b. ოსმალეთის, ესპანეთის, რუსეთის
- c. ირანის, ოსმალეთის, რუსეთის
- d. პრუსიის, ოსმალეთის, რუსეთის

კითხვა 3

რა სახელით არის ცნობილი ქართლის მეფე ვახტანგ V:

აირჩიეთ ერთი:

- a. შაჰნავაზი
- b. ჯანიშინი
- c. ნაზარალი-ხანი
- d. ვახტანგ ხანი

კითხვა 4

რა პერიოდში იყო „ოსმალობა“

აირჩიეთ ერთი:

- a. 1718-20 წლებში
- b. 1760-80 წლებში
- c. 1723-35 წლებში
- d. 1740-45 წლებში

### კითხვა 5

რატომ არ აღიარებდნენ დასავლეთის ქვეყნები საქართველოს დამოუკიდებლობას XX საუკუნის 20- იან წლებში:

აირჩიეთ ერთი:

- a. ამ პერიოდში ყველა დასავლეთის ქვეყანამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა
- b. საქართველოს არ ჰქონდა პრეტენზია დამოუკიდებელი სტატუსის მოთხოვნის
- c. მათ არ სურდათ რუსეთთან ურთიერთობის გართულება საქართველოს გამო
- d. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გამო

### კითხვა 6

რომელ საერთაშორისო ორგანიზაციაში სცადა გაწევრიანება საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1920 წელს

აირჩიეთ ერთი:

- a. თავისუფლების ლიგა
- b. ერთა ლიგა
- c. გაერო
- d. ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი

### კითხვა 7

რომელი ზავით დატოვა თურქეთმა ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიები 1918 წლის შემოდგომაზე:

აირჩიეთ ერთი:

- a. სან-სტეფანოს
- b. მუდროსის
- c. ვერსალის
- d. ბრესტის

### კითხვა 8

რომელ წელს გახდა საქართველო ევროპის საბჭოს სრულუფლებიანი წევრი

აირჩიეთ ერთი:

- a. 2001 წელს
- b. 1999 წელს
- c. 2002 წელს
- d. 2000 წელს

### კითხვა 9

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე იყო

აირჩიეთ ერთი:

- a. იულონ ბატონიშვილი
- b. ერეკლე II.
- c. სოლომონ II.
- d. გიორგი XII.

### კითხვა 10

1932 წლის შეთქმულების მოსამზადებლად პირველი საიდუმლო წრეები 1825-1826 წლებში შეიქმნა

აირჩიეთ ერთი:

- a. პეტერბურგსა და მოსკოვში.
- b. სტამბოლსა და თეირანში.
- c. თბილისსა და ქუთაისში.
- d. ვარშავასა და კრაკოვში.

### კითხვა 11

რით დასრულდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და რა შედეგები მოყვა მას.

აირჩიეთ ერთი:

- a. აჯანყება გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ მას მთელი ქვეყნის მასშტაბით უსასტიკესი რეპრესიები მოჰყვა.
- b. აჯანყება გამარჯვებით დასრულდა, ამიტომ მას რეპრესიები არ მოჰყოლია.
- c. აჯანყება დამარცხებით დასრულდა, მას მთელი ქვეყნის მასშტაბით უსასტიკესი რეპრესიები მოჰყვა.
- d. აჯანყება დამარცხებით დასრულდა, მაგრამ ხელისუფლებას რეპრესიები სთვის არ მიუმართავს.

### კითხვა 12

IX საუკუნის ნაწარმოებია

აირჩიეთ ერთი:

- a. "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება".
- b. "კონსტანტი-კახის მარტვილობა"
- c. "წამება წმიდისა შუშანიკისი, დედოფლისა"
- d. "აბო ტვილელის წამება"

### კითხვა 13

მცხეთის ჯვრის წარწერებში არ მოიხსენიება

აირჩიეთ ერთი:

- a. ქობულ-სტეფანოზი
- b. დემეტრე
- c. ადარნერსე
- d. გუარამი.

#### კითხვა 14

ხახულის კარედი ინახებოდა

აირჩიეთ ერთი:

- a. ნიკორწმინდაში.
- b. გელათში
- c. ხახულში
- d. მცხეთაში

#### კითხვა 15

თერგდალეულების, სამოციანელების წარმომადგენელია

აირჩიეთ ერთი:

- a. რაფიელ ერისთავი
- b. გიორგი ერისთავი
- c. დანიელ ჭონქაძე.
- d. ნიკოლოზ ბარათაშვილი